**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის**

**ოქმი N2**

ქ. თბილისი — 09 დეკემბერი 2013 წ.

**შესყიდვის საგანი:** ქ. თბილისში, დასახლება ფონიჭალაში, არსებული **6 726 მ²** მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი (საკადასტრო კოდი N01.18.13.039.027) - დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ობიექტი), განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის **(N1033, 21.11.2013)** საშუალებით.

**სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:**

**სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე:**

- გოგი ფაცაცია — მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის თავმჯდომარე

**სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:**

-მერაბ მენაბდე — მინისტრის მოადგილე

-კობა სელიმაშვილი — საფინანსო დეპარტამენტის უფროსი

- მურად აბლოთია — დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი

-ზაზა იმედაშვილი — მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი

- კახაბერ პეტრიაშვილი — იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

-კახაბერ ჩხარტიშვილი — ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი

**სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:**

- გია ნაჭყებია — ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი

- ამირან გოგიძე — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი

- დავით ლოლაძე — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილე

- მაიკო მიქაია — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

**დღის წესრიგი:**

ქ. თბილისში, დასახლება ფონიჭალაში, არსებული **6 726 მ²** მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი (საკადასტრო კოდი N01.18.13.039.027) - დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ობიექტი), განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე მიმდინარე ელექტრონულ კონკურსში კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შედეგების განხილვა.

2. კონკურსში **(N1033, 21.11.2013)** მონაწილე კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შერჩევა-შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

**სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ მოისმინა:**

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრმა ამირან გოგიძემ სატენდერო (საკონკურსო) კომისიას წარუდგინა სამინისტროს მიერ 2013 წლის 21 ნოემბერს გამოცხადებულ ელექტრონულ კონკურსში **(N1033, 21.11.2013)** მონაწილე კონკურსანტების მიერ დალუქული კონვერტებით წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია, მან აღნიშნა, რომ კონკურსში მონაწილე კონკურსანტებისთვის საკონკურსო წინადადებების მიღება დასრულდა 2013 წლის 04 დეკემბერს, 14:00 საათზე;

ელექტრონულ კონკურსში **(N1033, 21.11.2013)** მონაწილეობდა და თავისი საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ორმა კონკურსანტმა:

1. შპს "არკო 04";
2. შპს „არტლაინსი";

სხდომაზე აღინიშნა, რომ საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილია დალუქული კონვერტით, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ვადებში - საკონკურსო წინადადების დაგვიანებით წარმოდგენას ადგილი არ ჰქონია. საკონკურსო კომისიის სხდომის მიმდინარეობისას კომისიის აპარატის მიერ, საკონკურსო კომისიის წევრების თანდასწრებით განხორციელდა ზემოაღნიშნულ კონკურსებში მონაწილე კონკურსანტების მიერ გამოგზავნილი დალუქული კონვერტის გახსნა და მასში არსებული საკონკურსო დოკუმენტაცია განხილვისათვის გადაეცა სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრებს.

**სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ განიხილა:**

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარემ გ. ფაცაციამ მიმართა დამსწრეებს და განუმარტა, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნების თანახმად, მას შემდეგ რაც ცნობილი გახდა კონკურსში მონაწილის ვინაობა, სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები, სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები ვალდებულნი არიან წერილობით დაადასტურონ, რომ ამ შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები და სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები ხელმოწერებით დაეთანხმნენ ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ ხელწერილის მოთხოვნას.

სატენდერო (საკონკურსო) კომისის წევრებმა შეისწავლეს კონკურსანტების მიერ დალუქული კონვერტით გამოგზავნილი დოკუმენტაცია, რის შემდეგაც დაასახელეს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ფასი.

**შპს "არკო 04"- 25 000 (ოცდახუთი ათასი)**
**შპს „არტლაინსი" – 23 000 (ოცდასამი ათასი ლარი)**

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრებმა განიხილეს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, შეამოწმეს ორივე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რის შედეგად გაირკვა, რომ **შპს „არკო 04"- ის** მიერ წარმოდგენილ კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში არ არის მითითებული **შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი,** საკონკურსო განცხადების კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული **უნიკალური ნომერი.**

სატენდერო (საკონკურსო) კომისის წევრებმა აღნიშნეს, რომ **შპს "არკო 04"-ის** საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანებით დამტკიცებული "კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის" მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსში მონაწილე მეორე კონკურსანტის (**შპს „არტლაინსი"**) არქიტექტურული კონცეფციის შესახებ სრული ინფორმაციის მისაღებად, საკონკურსო წინადადების ეს ნაწილი შესწავლის მიზნით გადაეცეს სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს, რომელიც შეისწავლის და მომდევნო საკონკურსო კომისიის სხდომაზე წარმოადგენს თავის მოსაზრებას კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საუკეთესო არქიტექტურული კონცეფციების შესახებ.

**სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ გადაწყვიტა:**

1. **შპს "არკო 04"-ის** მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ შეესაბამება საკონკურსო განცხადებითა და საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
2. სატენდერო (საკონკურსო) კომისიის გადაწყვეტილებით ელექტრონულ კონკურსში **(N965; 24.09.2013)** მონაწილე კონკურსანტი - **შპს "არკო 04"** დისკვალიფიცირებულ იქნას;
3. კონკურსში მონაწილე კონკურსანტის (**შპს „არტლაინსი"**) მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შერჩევა-შეფასება მოხდეს საკონკურსო კომისიის მომდევნო სხდომაზე.
4. სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველომ მომდევნო საკონკურსო კომისიის სხდომაზე წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი არქიტექტურული კონცეფციის შესახებ.
5. სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატს დაევალა:
   5.1.წინამდებარე სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა დადგენილი წესით, შედგენისთანავე.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე: გოგი ფაცაცია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები: მერაბ მენაბდე

კობა სელიმაშვილი

კახაბერ პეტრიაშვილი

კახაბერ ჩხარტიშვილი

ზაზა იმედაშვილი

მურად აბლოთია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები: გია ნაჭყებია

ამირან გოგიძე

დავით ლოლაძე

მაიკო მიქაია

# ხელწერილი

## ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

9 დეკემბერი 2013 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნების თანახმად, ქვემოაღნიშნული პირები ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ 2013 წლის 21 ნოემბერს გამოცხადებულ ელექტრონულ კონკურსში (N1033, 21.11.2013) ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

**სახელმწიფო შესყიდვის ობიექტი:**

ქ. თბილისში, დასახლება ფონიჭალაში, არსებული 6 726 მ$^2$ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი (საკადასტრო კოდი N01.18.13.039.027) - დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ობიექტი), განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის (N1033, 21.11.2013) საშუალებით;

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე:

გოგი ფაცაცია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:

მერაბ მენაბდე

კობა სელიმაშვილი

კახაბერ პეტრიაშვილი

კახაბერ ჩხარტიშვილი

ზაზა იმედაშვილი

მურად აბლოთია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:

გია ნაჭყებია

ამირან გოგიძე

დავით ლოლაძე

მაიკო მიქაია

| | |
|---|---|
| ბანკში შემოსვლის თარიღი | **04/12/2013** |
| გატარდება ბანკის მიერ | **04/12/2013** |

# სალაროს შემოსავლის ორდერი # 7058225

კოდი: REPLGE22

| | |
|---|---|
| **მომსახურე ბანკი** | სს ბანკი "რესპუბლიკა", სადგურის ფილიალი |
| **მიმღები** | ს.ს.ი.პ. კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო |
| **შემომტანი** | იოსებ ტვილდიანი |
| **საბუთის მონაცემები** | პირადობის მოწმობა: 12IB63143, პირადი #: 01024012639 |
| **შემოტანის დანიშნულება** | საკონკურსო მოსაკრებლი "არკო 04" ს/ნ 205243128 |
| **ოპ.კოდი:** | 32 |
| **სახაზინო კოდი:** | |

შემომტანი:

ბანკის პასუხისმგებელი მუშაკი

მოლარე:

**დებეტი ანგ. N:**
90061003000000

**კრედიტი ანგ. N:**
GE52 BR00 0001 0591 7185 43

**თანხა**

**50.00 GEL**

**თანხა სიტყვებით**

***ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი***

ბ.ა.

14F4CD28

ოპერ. 18354